



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1757  
05/10/2018

ქალაქი ბათუმი

1757-05-4-201810051532



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემის მოწყობისათვის პროექტების მიღება - ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვების საშესახებ ხელშეკრულების განხორციელებასა და სამუშაოების მიღება - ჩაბარების დროს შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორის ვლადიმერ მიქელაძის, როგორც დარგის სპეციალისტის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის თანახმად **გბრძანებ**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სასმელი წყლისა და წყალარინების სისტემის მოწყობისათვის განსახორციელებელი პროექტების მიღება - ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვების საშესახებ ხელშეკრულების განხორციელებასა და სამუშაოების მიღება - ჩაბარების დროს მოწვეულ იქნას, ინსპექტირების განხორციელებისათვის, როგორც დარგის სპეციალისტი შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორი ვლადიმერ მიქელაძე.

2. დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა